



კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე

*შპს ბიდიოსა და Kalba International, Inc-ის ანგარიშის და
ექსპერტის დასკვნის შესახებ*

მოამზადა:

**შპს ბიდიომ და
Kalba International, Inc.-მა**

მოამზადდა:

შპს მაგთიკომისთვის

8 ნოემბერი 2020

Kalba International, Inc.
ნიუ-ჰეივენი, კონექტიკუტი
06515, აშშ
მაკკინლის გამზირი 116
www.kalbainternational.com

შპს ბიდიო
ვერე ბიზნეს ცენტრი
საქართველო, თბილისი, 0179
თარხნიშვილის ქ. 2
www.bdo.ge

შესავალი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (GNCC) პასუხი შპს მაგთიკომისთვის შპს ბიდიო და Kalba International-ის მიერ მომზადებულ ანგარიშზე და საკონსულტაციო კომპანიების საექსპერტო დასკვნებზე [შემდგომში წოდებული „GNCC-ის პასუხი“ ან „პასუხი“] არ მოიცავს საქართველოში მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) შემოსვლის შესახებ ჩვენი დასკვნის მთავარ საკითხებს - „რეალურობის შემოწმება“ (შემდგომში წოდებული „რეალურობის შემოწმება“/“Reality Check“) საქართველოს მსგავს ქვეყნებში მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) ეკონომიკური ეფექტურობის შესახებ. გარდა ამისა, პასუხში არასწორად არის განმარტებული (და ადგილ-ადგილ არასარწმუნოა) იმ ინფორმაციის დეტალები, რომელსაც ეფუძნება GNCC-ის მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) სავალდებულო დაშვების რეგულაციის „საუკეთესო პრაქტიკის“ გადაწყვეტილება.

ქვემოთ მოცემულია ჩვენი კომენტარები იმ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ „GNCC-ის პასუხში“, მათ შორის, იმ მოსაზრებებზე, რომლის მიხედვითაც იგი მიიჩნევს აღნიშნული რეგულაციის შემოღებას როგორც „საუკეთესო პრაქტიკა“-ს:

1. მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) სავალდებულო დაშვება, როგორც „საუკეთესო პრაქტიკა“

გავაანალიზებთ რა „GNCC-ის პასუხი“, გამოვიტანეთ დასკვნა, რომ მარეგულირებელი კომისიის „პასუხი“ ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ მობილური ქსელის ოპერატორებზე (MNO) მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) დაშვების ვალდებულების დაკისრება საქართველოსთვის გაუმართლებელია. ჩვენ მივიჩნევთ, რომ „GNCC-ის პასუხი“ ვერ ცხადყოფს, რომ მსგავსი რეგულაცია ემყარება „საუკეთესო პრაქტიკა“-ს მრავალი მიზეზის გამო:

- 1) „GNCC-ის პასუხში“ განხილულია MVNO-ს ზოგადი უპირატესობა და მათი პოტენციური სარგებელი ბაზრისთვის და არ არის გამიჯნული ჩამოთვლილ მაგალითებში რომელია რეგულირებული და არა რეგულირებული MVNO, მაშინ, როცა ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა არის MVNO-ს მიერ გაფორმებული არარეგულირებული კომერციული ხელშეკრულებები¹. MVNO-ს რეგულაცია იმ ფორმით, როგორც საქართველოს

¹ ამავდროულად, „GNCC-ის პასუხი“ აღიარებს, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებს (MVNOs) ჩვეულებრივ აქვთ მეტად შეზღუდული საბაზრო წილი და შესაბამისად გავლენა ბაზარზე; კონკრეტულად, პასუხი მიუთითებს: „მსოფლიოში 1,300-ზე მეტი MVNO ოპერირებს, და მათი მთლიანი საბაზრო წილი 63.3 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც მსოფლიო სატელეკომუნიკაციო ბაზრის 2.46%-ია.“

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე, პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს, გაცილებით იშვიათია და არ შეიძლება ჩაითვალოს „საუკეთესო პრაქტიკად“.

- 2) „GNCC-ის პასუხში“ არეულია ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონის ანტიმონოპოლიური/კონკურენციის დებულებების შესაბამისად, ოპერატორებზე დაკისრებული მარეგულირებელი ვალდებულებები - კერძოდ ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე (SMP) ოპერატორებს - იმ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) ვალდებულებებთან, რომელიც მათ ეკისრებათ სულ სხვა საფუძველით, როგორცაა სიხშირული სპექტრის ლიცენზია ან შერწყმის ნებართვები.
- 3) „GNCC-ის პასუხი“ ზოგადად არასწორად განმარტავს ევროკავშირის რეგულირების პრაქტიკას მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებთან (MVNO) მიმართებაში, რომლებიც გარკვეულ ნაწილში პირდაპირ ეფუძნება არასწორ ინფორმაციას.

გარდა ამისა, „პასუხში“ არასწორი ინტერპრეტაციით არის მითითებულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციის განმარტება, ასევე არასწორად/შეცდომით არის მიკუთვნებული ზოგიერთი დოკუმენტი. „პასუხში“ მოცემული ინფორმაციის სახეცვლილად აღწერის და არასწორი ინტერპრეტაციის მთავარი მაგალითები იხილეთ „ფაქტების შემოწმება“ დანართში #1.

კონკრეტული საკვანძო მაგალითები

1. რასაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უწოდებს „საუკეთესო პრაქტიკას“ (მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) სავალდებულო დაშვება ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონის ანტიმონოპოლიური/კონკურენციის დებულებების საფუძველზე ან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე (SMP) ოპერატორების რეგულაციის საფუძველზე) და რასაც თავად GNCC იყენებს ბენჩმარკში/შედარებაში, 31 ქვეყნიდან მხოლოდ ორმა ქვეყანამ განახორციელა და რომელთაგან არცერთი არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

მიუხედავად იმისა, თუ რა განცხადება კეთდება „GNCC-ის პასუხში“, Cullen International-ის ანგარიში მიუთითებს², რომ ევროკავშირის მხოლოდ ერთი ქვეყანა ავალდებულებს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNO) დაშვებას, სექტორთან დაკავშირებული სპეციფიკური სატელეკომუნიკაციო კონკურენციის ჩარჩოს შესაბამისად დაკისრებული ვალდებულებებით (ე.წ. წინასწარი ex ante რეგულაცია). მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის აღნიშნულმა ქვეყანამაც კი (კვიპროსი) გააუქმა ეს რეგულაცია 2019 წელს.³ ეს ნიშნავს, რომ მოცემულ მომენტში ევროკავშირის არცერთი ქვეყანა არ იყენებს ამ სახის რეგულაციას.

ის ორი ქვეყანა, რომელიც მითითებულია Cullen International-ის ანგარიშში, რომელიც იყენებს GNCC-ს მიერ დადგენილი რეგულაციის ანალოგიურ რეგულაციას, არ არის ევროკავშირის ქვეყანა და გააჩნია კონკრეტული საბაზრო პირობები. ერთ-ერთ მათგანში, ნორვეგიაში, ორი

²<https://www.cullen-international.com/client/site/documents/CTTEEU20200025?version=this>.

³<https://ec.europa.eu/digital-single-market/en/news/definition-and-analysis-relevant-markets> და <http://ocecpr.ee.cy/el/content-menu/1-shetikes-agores-vasei-systasis-11is-fevroyariy-2003/15-agera-15>.

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე, პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

მობილური ოპერატორი (Telenor და Telia) აკონტროლებს ბაზრის შემოსავლების დაახლოებით 90 პროცენტს,⁴ ხოლო ჩრდილოეთ მაკედონიაში არის მხოლოდ ორი მობილური ოპერატორი.⁵

სამართლიანია აღინიშნოს, რომ Cullen-ის ანგარიშში განხილულ სხვა 9 ქვეყანას გააჩნია კონკრეტული ვალდებულებები მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების დაშვებასთან დაკავშირებით. თუმცა, ძირითადი განსხვავებები აღნიშნულ ვალდებულებებსა და GNCC-ის მიერ განხილულ რეგულაციებს შორის არის ის, რომ ასეთი ვალდებულებები *დაწესებულია* არა ტელეკომუნიკაციების სექტორის ანტიმონოპოლიური რეგულაციით, არამედ მათზე თანხმობა აქვთ გამომხატული მობილური ქსელის ოპერატორებს (MNO), კონკრეტული სიხშირული სპექტრის სარგებლობის უფლებების მოპოვების ან მობილური ქსელის ოპერატორებს (MNOs) შორის შერწყმის პირობად.⁶ აღნიშნული 9 ქვეყნიდან მინიმუმ ოთხი არ არეგულირებს მობილური ქსელის ოპერატორების (MNOs) მიერ გამოყენებულ საბითუმო ფასს MVNO-სთან დაკავშირებით; დანარჩენი ორი ქვეყანა იყენებს საკმაოდ ზოგად „სამართლიანი და გონივრული“ ფასის კრიტერიუმებს. მხოლოდ ორი ქვეყანა მოითხოვს მობილური ქსელის ოპერატორებისაგან (MNOs) სტანდარტული შეთავაზების (ოფერტის) გამოქვეყნებას.

და ბოლოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ MVNO-სთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ფართო ქრილში განვიხილავთ, კომისიის მიერ მითითებულ Cullen International ანგარიშში განხილული 31 ქვეყნიდან, 20 ქვეყანას არ აქვს მსგავსი ვალდებულება. ხოლო, 31 ქვეყნიდან, 26 ქვეყანა არ ადგენს სტანდარტული შეთავაზების (ოფერტის) გამოქვეყნების ვალდებულებას. ამ კონტექსტში, GNCC-ის განცხადება, რომ MVNO რეგულაცია წარმოადგენს „საუკეთესო პრაქტიკას“, დაუსაბუთებელია.

2. „GNCC-ის პასუხი“ მიუთითებს, რომ მობილური ოპერატორის ქსელზე დაშვების ბაზარი უნდა დარეგულირდეს ევროკავშირის მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. თუმცა, ევროკომისიამ 2007 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზოგადად შესაბამისი ბაზარი არ ექვემდებარება ამგვარ რეგულაციას. ფინეთის მარეგულირებლის მიერ ბაზრის რეგულირების მცდელობას 2004 წელს ვეტო დაადო ევროკომისიამ იმის მიუხედავად, რომ წამყვანი ოპერატორის (იმ დროისთვის TeliaSonera) საბაზრო წილი 60 პროცენტს აღემატებოდა.

GNCC მიუთითებს, რომ მობილური ოპერატორის ქსელებზე დაშვებისთვის ბაზარი ზოგადად უნდა დარეგულირდეს ევროკავშირის მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოყენებული „სამი კრიტერიუმის“ ტესტით. ეგრეთწოდებული წინასწარი/ex-ante კონკურენციის რეჟიმი, რომელიც მიუთითებს აღნიშნულ ტესტზე, შემოღებული იქნა ელექტრონული კომუნიკაციების ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოს საფუძველზე 2002 წელს. აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში მობილური ბაზრის რეგულაცია ითვალისწინებს სამ ეტაპს: (1) ევროკომისია იღებს რეკომენდაციას შესაბამის ბაზრებზე ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის ფარგლებში, რომელიც ექვემდებარება წინასწარ/ex-ante რეგულაციას (წინასწარი „სამ კრიტერიუმიანი“ ტესტი)⁷; (2) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები აანალიზებენ

⁴<https://www.nkom.no/ekom-markedet/markeder/marked-15-tilgang-til-mobilnett>.

⁵<https://www.gsma.com/membership/membership-types/operator-membership/>.

⁶ ელექტრონული კომუნიკაციების ევროპის მარეგულირებელი ორგანოების ან ორგანოს ანგარიშში, რომელიც მითითებულია GNCC-ს მიერ, კონკრეტულად ეხება შერწყმის შემდეგ ბაზრის ანალიზს და არა წინასწარ (ex-ante) ტელეკომუნიკაციების კანონზე დაფუძნებული ბაზრის რეგულაციას.

⁷ „სამ კრიტერიუმიანი“ ტესტი ნიშნავს, რომ ბაზარი ითვლება დაქვემდებარებულად ex-ante რეგულაციაზე, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: (ა) სტატიკური – მაღალი და არა-გარდამავალი დაშვების პარიერების არსებობა, იქნება ეს სტრუქტურული, იურიდიული თუ მარეგულირებელი სახის; (ბ) დინამიკური - მხოლოდ ის ბაზრები, რომელთა სტრუქტურა არ არის ტენდენციური ეფექტური კონკურენციის მიმართულებით, რელევანტური დროის ინტერვალში, შეიძლება დარეგულირდეს; (გ) საერთო ანტიმონოპოლიური/კონკურენციის კანონის არასათანადოობა - ე.ი.

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე, პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

რეგულაციაში განსაზღვრულ ბაზრებს, იმის დასადასტურებლად გამოიყენებოდა თუ არა „სამი კრიტერიუმი“ კონკრეტულ ეროვნულ დონეზე; (3) თუ განისაზღვრება, რომ აღნიშნული ბაზარი ექვემდებარება რეგულაციას, მარეგულირებელი განსაზღვრავს ბაზარზე ერთი თუ მეტი საწარმო ფლობს მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას; და (4) მხოლოდ შემდეგ წესდება კონკრეტული ზომები ბაზრის ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

პირველი რეკომენდაცია შესაბამის ბაზრებზე, რომელიც მიიღო ევროკომისიამ 2002 წლის მარეგულირებელი რეჟიმის განხორციელების პროცესში, მოიცავდა საბითუმო დაშვების ბაზარს და მობილური სატელეფონო ქსელებზე ზარის წამოწყებას⁸ (ეგრეთ წოდებული ბაზარი 15; უმთავრესად, წინა მარეგულირებელი რეჟიმიდან გადასვლის სახით). თუმცა, ეროვნული მარეგულირებლების მცდელობები ბაზრის ფაქტობრივად რეგულირების კუთხით, მნიშვნელოვანად წარუმატებელი იყო. ფინეთის მარეგულირებლის, Ficora-ს მცდელობას, დაესახელებინა TeliaSonera მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, ვეტო დაედო ევროკომისიის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ TeliaSonera-ს საბაზრო წილი 60 პროცენტს აღემატებოდა.⁹

ანალოგიურად, ComReg's მცდელობა ირლანდიაში დაესახელებინა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორი აღნიშნულ ბაზარზე და დაენესებინა შესაბამისი ზომები, გაუქმებულ იქნა სააპელაციო ორგანოს მიერ.¹⁰ საბოლოოდ, ეროვნული ბაზრის ანალიზის გამოცდილების საფუძველზე, შესაბამის ბაზრებზე რეკომენდაციის პირველ განხილვაში, ევროკომისიამ ამოიღო აღნიშნული ბაზარი იმ ბაზრების ჩამონათვალიდან, რომელიც მის მიერ რეგულაციაზე დაქვემდებარებულად იყო მიჩნეული, აღნიშნულ ბაზარზე შესვლის ბარიერების, სიხშირული სპექტრის შეზღუდვების აღიარების მიუხედავად¹¹. შედეგად, როგორც მოცემულია დანართ #2-ში, ამჟამად ევროკავშირის არცერთი ქვეყანა არ არეგულირებს აღნიშნულ ბაზარს.

2. მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNOs) სავალდებულო დაშვების სატარიფო შედეგები

GNCC-ის თავის „პასუხში“ ამტკიცებს, რომ მობილური მომსახურების ფასები საქართველოში მაღალია და რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (MVNOs) სავალდებულო შემოყვანა რამდენადმე შეამცირებს აღნიშნულ ფასებს. როგორც ქვემოთ მიგუთითებთ, „პასუხში“ მობილური ფასები სათანადოდ არ არის შედარებული, და არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება იმისა, რომ MVNOs შემოყვანა შეამცირებს მოქმედ ფასებს.

კონკრეტული საკვანძო მაგალითები

2.1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და მისი კონსულტანტების მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია (Strategy Analytics and Teligen) მობილური მომსახურების ფასების შედარებასთან დაკავშირებით, უკიდურესად (3.8-ჯერ) ზრდის მობილური მომსახურების ფასებს საქართველოში „ბენჩმარკში“ შეტანილ სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ანტიმონოპოლიური/კონკურენციის კანონის გამოყენება ადეკვატურად არ განიხილავს ბაზრის ხარვეზებს. წყარო: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32003H0311>.

⁸<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32003H0311>.

⁹https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/MEMO_07_457.

¹⁰ Cullen International ანგარიში, რომელიც მითითებულია GNCC-ს პასუხში.

¹¹<https://ec.europa.eu/transparency/regdoc/rep/2/2007/EN/2-2007-1483-EN-2-1.PDF>.

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე, პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოყენებულ „ბენჩმარკში“ ფასები შედარებულია აშშ დოლარში და დაკორექტირებულია მსყიდველობითი უნარის პარიტეტით (PPP). აღნიშნული მეთოდოლოგიით ხდება მობილური კომუნიკაციების ფასების შედარება საქონლის და მომსახურებების ფასებთან ზოგადად ქვეყანაში, და არა რეალურ ფასებთან. ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო დაბალია საქონლის და მომსახურებების ფასები მოცემულ ქვეყანაში, მით უფრო ძვირი გამოვა მობილური კომუნიკაციების ფასები, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით დაკორექტირების შემდეგ.

მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით¹² ფასების საერთო დონე საქართველოში ყველაზე დაბალია იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებსაც GNCC-ის კონსულტანტები ადარებენ - მხოლოდ თურქეთის მონაცემები უახლოვდება მას. მაგალითად (ქვეყნები, რომელიც მიუთითებს დაბალ მობილური მომსახურების ფასებს GNCC-ის „ბენჩმარკში“), ფასის საერთო დონე გაერთიანებულ სამეფოში 2.8-ჯერ მაღალია საქართველოსთან შედარებით, რაც ნიშნავს, რომ 1 აშშ დოლარით საქართველოში შესაძლებელია 2.8-ჯერ მეტის ყიდვა და რომ სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასები გაერთიანებულ სამეფოში 2.8-ჯერ დაბალია საქართველოსთან შედარებით, ვიდრე ეს რეალურად არის (იხილეთ დანართი #3).

ავსტრალიაში ეს მაჩვენებელი განსხვავდება 3.4-ჯერ, ესტონეთში - 2-ჯერ, ისლანდიაში - 3.7-ჯერ, ლიეტუვაში - 1.7-ჯერ და გერმანიაში - 1.7-ჯერ, ხოლო შვეიცარიაში - 3.8-ჯერ. მოკლედ რომ ვთქვათ GNCC-ის „ბენჩმარკში“ საქართველოში არსებული ფასები რეალურზე 3.3-ჯერ მეტად არის მითითებული გაზრდილი, ისლანდიაში - რეალურ ფასებზე 10 პროცენტით ნაკლებია მითითებული. ეს არის შეცდომაში შემყვანი და არასწორი ინფორმაცია, კერძოდ, მობილური ოპერატორის ხარჯების მაღალ პროპორციასთან დაკავშირებით (მობილური მოწყობილობა და სხვა), რომლებიც განეულია უცხოურ ვალუტაში უცხოელი მომწოდებლებისგან შესყიდვების ფარგლებში.

2.2. მომსახურების ფასებზე MVNO-ების სავალდებულო დაშვების ზემოქმედების საკითხზე, ჩვენი ანალიზი მიუთითებს, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის, სადაც MVNO სავალდებულო დაშვების კონკრეტული ფორმა არსებობს, მომსახურების ფასები საშუალოდ გაიზარდა და არა შემცირდა.

საქართველოს მსგავსი ეკონომიკური დონის მქონე ქვეყნების შემთხვევაში, ჩვენ დავადგინეთ, რომ „მობილური ინტერნეტის 1 გიგაბაიტის ფასი საშუალოზე მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც მობილური MVNO-ები ოპერირებენ - 0.59 აშშ დოლარი ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალო ფასი, 0.34 აშშ დოლართან შედარებით იმ ქვეყნებში, სადაც არ არის წარმოდგენილი MVNO-ები“¹³. ასევე მნიშვნელოვანი სხვაობაა საშუალო ფასების შედარების დროსაც - კერძოდ, 1.90 აშშ დოლარი - 1.24 აშშ დოლართან. ამასთან, ჩვენ მიერ შემოწმებულ ქვეყნებში, სადაც MVNO-ების მაქსიმალური რაოდენობაა (ინდონეზია და ფილიპინები) ყველაზე მაღალი საშუალო ფასებია.

„GNCC-ის პასუხის“ უმეტეს ნაწილში გამოთქმულია ვარაუდი, რომ სავალდებულო MVNO რეგულაცია არის საქართველოში დაბალი ფასების უზრუნველყოფის მარტივი გზა. ჩვენ ამის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ ვნახეთ „GNCC-ის პასუხში“ ან უფრო ღრმა ანალიზში, რომელიც ჩვენ ჩავატარეთ როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ასევე საქართველოს მსგავსი

¹² მსოფლიო ბანკი. მსოფლიოს განვითარების მაჩვენებლები. ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს Strategy Analytics /Teligen მიერ გამოყენებული დეტალური მონაცემები, ჩვენ გამოვიყენეთ 2019 წლის მონაცემები - შესაბამისად, ჩვენი გამოთვლების შედეგები შესაძლოა ოდნავ განსხვავდებოდეს GNCC-ის კონსულტანტების შედეგებისგან, თუმცა პრინციპი იგივეა.

¹³ იხილეთ გვ. 26-27 შპს ბიდიო და Kalba International, op. cit.

ეკონომიკური დონის მქონე ქვეყნებში. გარდა ამისა, „GNCC პასუხში“ თავისთავად აღიარებულია, რომ საქართველოში „არ ხდება აბონენტის გადინება ოპერატორებს შორის, კერძოდ აბონენტის გადინება დაბალი ფასის ოპერატორის ქსელში . . .“¹⁴ ეს ნიშნავს იმას, რომ არსებობს სხვა ფაქტორები თუ რატომ ირჩევენ ფიზიკური პირები კონკრეტულ ოპერატორებს, მათი სატარიფო გეგმების გარდა, როგორცაა მომსახურების და დაფარვის ხარისხი (დაშორებული ზონები, შენობებში და სხვა).

3. MVNO-ების სავალდებულო დაშვების ეკონომიკური და ინოვაციური პერსპექტივები

ჩვენი თავდაპირველი „რეალურობის შემოწმების“/“Reality Check” დოკუმენტი, რომელიც ორიენტირებული იყო საქართველოში MVNO-ების ეკონომიკურ ეფექტურობაზე და მათ როლზე ინოვაციების შექმნაში საქართველოს მობილურ სექტორში, ეფუძნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის (GNCC) მისი კონსულტანტების მიერ მომზადებული წინასწარი საკონსულტაციო ანგარიშის დაშვებებს.¹⁵ ჩვენი არგუმენტი არის ის, რომ MVNO-ების, კერძოდ ინოვაციური ოპერატორების სიმრავლე, არ არის მოსალოდნელი საქართველოში, ეკონომიკურად მსგავსი ქვეყნების შედეგების გათვალისწინებით.

„GNCC-ის პასუხში“ არ არის განხილული მთავარი საკითხები და იმ შედეგების მნიშვნელობა, რაც შესაძლოა მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების სავალდებულო რეგულაციამ წარმოქმნას. ეს შესაძლოა მიუთითებდეს GNCC-ს თანხმობას ჩვენს დასკვნებზე. თუმცა, რადგან „GNCC-ის პასუხში“ ყურადღების გამახვილებულია საქართველოს პოზიციაზე ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან და არა შესაძლოა ქვეყნებთან შედარებით, ვთვლით, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ჩვენს მიერ წარმოდგენილ ანალიზის ნაცვლად, მარეგულირებელი პროცესის ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას და არა საქართველოში MVNO სავალდებულო დაშვების დაწესების შესაძლო შედეგებზე.

კონკრეტული საკვანძო მაგალითები

1. „რეალურობის შემოწმებაში“/“Reality Check” ჩვენ ხაზი გავუსვით საქართველოს ეკონომიკური დონის მსგავს ქვეყნებში MVNO განვითარების შემოწმების საჭიროებას და წარმოდგინეთ ყოვლისმომცველი ანალიზი და დოკუმენტაცია, რომ ზოგადად MVNO წარუმატებელი იყო ან ბევრ შემთხვევაში არ შენარჩუნდა საქართველოს მსგავსი ეკონომიკური დონის მქონე ქვეყნებში.

25 ასეთი ქვეყნის შემოწმებით ჩვენ დავადგინეთ, რომ საშუალოდ ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი MVNO და არა მრავალი წარმატებული MVNO-ები, როგორც ეს წარმოდგენილია GNCC-ს თავდაპირველ საკონსულტაციო ანგარიშში, ამასთან, არსებობს MVNO-ების მრავალი შემთხვევები, როდესაც მათ დაიწყეს ოპერირება და შემდეგ შეწყვიტა საქმიანობა. მაგალითად უკრაინაში, რომელიც საქართველოზე გაცილებით დიდი ქვეყანაა, ჩვენ დავადგინეთ მხოლოდ ორი მოქმედი MVNO (დანარჩენი ოთხი გასულია ბაზრიდან).¹⁶

2. ჩვენ ასევე შევამოწმეთ ინოვაციური MVNO-ების ბაზარზე შემოსვლის პერსპექტივა, თუ იმოქმედებს MVNO-ების სავალდებულო დაშვების რეჟიმი და ეს ხელს შეუწყობს ინოვაციური

¹⁴ GNCC-ს პასუხი, გვ. 7.

¹⁵ PwC, რეკომენდაციების დოკუმენტი ეროვნული როუმინგის წვდომის პირობებისა და დებულებების შესახებ, ასევე MVNO დაშვების პირობებისა და დებულებების შესახებ.

¹⁶ შპს ბიდიო და Kalba International, Inc., საქართველოში MVNOs შემოსვლა - რეალურობის შემოწმება, 2020 წლის 28 მაისი (ინგლისურენოვანი ვერსია), გვ. 20.

ეკოსისტემას ჩამოყალიბებას საქართველოში, როგორც ეს წარმოდგენილია GNCC-ისთვის მომზადებულ საკონსულტაციო კვლევაში.

ფაქტობრივად ჩვენ დავადგინეთ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოს მსგავს ქვეყნებში, MVNOs-ები იშვიათად არიან ინოვაციური აპლიკაციების ან ტექნოლოგიური თვალსაზრისით. პირიქით, ისინი დიდი ალბათობით ეყრდნობიან ხმოვანი მომსახურებების განვებას და ხშირ შემთხვევაში შექმნილი არიან იმ საწარმოების მიერ, რომლებიც დაფუძნებული არიან სხვა ქვეყანებში. შესაბამისად, გონივრულია იმის გათვალისწინება, რომ ადგილობრივ დონეზე ინოვაციური ასპექტი სავარაუდოდ არ გამოიღებს შედეგს, თუ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების სავალდებულო დაშვების რეგულაცია დაწესდება საქართველოში. დიდი ალბათობით MVNO მომსახურება აღნიშნულ საფუძველზე შესაძლოა შემოვიდეს თურქეთიდან ან რუსეთიდან, სადაც საქართველოს უდიდესი დიასპორა არის წარმოდგენილი.

ეს არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია მობილური ინოვაციური ასპექტის თავისთავად წარმოშობა ან წარმატება საქართველოს ეკონომიკური დონის მსგავს ქვეყნებში. ფაქტობრივად, მობილურ მომსახურებებში ორი ყველაზე ინოვაციური მიღწევა პირველად შემოღებული იყო განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა მექსიკა და კენია. მექსიკა იყო ქვეყანა, სადაც წინასწარი გადახდის მობილური მომსახურებები პირველად გამოჩნდა 1992 წელს (გავრცელდა მთელ მსოფლიოში), ხოლო კენია იყო ქვეყანა, სადაც წარმოიშვა უდიდესი წარმატების მქონე მობილური ფულის (m-pesa) სერვისი. ორივე შემთხვევაში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აღნიშნულ ქვეყნებს ჰყავდა ძლიერი ოპერატორები, რომლებმაც შეძლეს შეუპოვრად გაეგრძელებინათ აღნიშნული სერვისების განვითარება, სანამ მათი ფართო აღიარება მოხდა.

იმავდროულად, განვითარებულ ქვეყნებშიც, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების სავალდებულო დაშვება ყოველთვის არ განაპირობებს ინოვაციური მომსახურებების ხელმისაწვდომობას. ჩვენ წარმოვიდგინეთ ანალიზი ჰონკონგის მაგალითზე, რომელიც არის ერთ-ერთი პირველი იურისდიქცია, რომელმაც 2000 წელს დაადგინა MVNO-ების სავალდებულო დაშვება და მოითხოვა 3G გამოყენებისთვის გამოყოფილი სიხშირული სპექტრის 30 პროცენტის რეზერვირება MVNO-ებისთვის. MVNO-ებს დასჭირდათ რამდენიმე წელი ხმოვანი მომსახურებების შექმნისა და ზოგადად, შეთავაზებისთვის (მაგ. ტრანსსასაზღვრო კავშირი კონტინენტურ ჩინეთთან) ახალ მონაცემებზე დაფუძნებული აპლიკაციების ნაცვლად, რისი იმედიც ჰქონდა მთავრობას.

3. GNCC-მ ასევე, ამასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომ MVNO-ების მომსახურება ნიშური ბაზრის სეგმენტებს, „...MVNO რეგულაციის შემოღება ნიშური სერვისების, ტელეკომ ბაზრის ახალი სეგმენტებისა და შესაბამისად, ახალი ინოვაციური ბიზნეს მოდელების შესაძლებლობებისათვის ხსნის გზას“¹⁷

იმავდროულად, „GNCC-ის პასუხში“ მოცემულია სქემა, სადაც წარმოდგენილია, დაახლოებით, 20 MVNO-ს ბრენდული გამოსახულება. „GNCC-ის პასუხში“ არ არის გააზრებული, რომ (1) სურათზე გამოსახული ბევრი MVNO-ები აწვდიან ძირითადად ხმოვან მომსახურებებს, (2) MVNO-ების დიდ ნაწილს შეხვდათ დიდი საბაზრო ან ფინანსური სირთულეები, და (3) მათი დიდი ნაწილი არ არის დამოუკიდებელი მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორები, არამედ მობილური ქსელის ოპერატორების აფილირებული პირები თავიანთ ქვეყნებში.

¹⁷ GNCC პასუხი, გვ. 23.

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე, პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

არ არის წარმოდგენილი ბევრი მაგალითი ინოვაციური ან ნიშაზე ორიენტირებული MVNO-ების შესახებ. კონკრეტულად აღნიშნული „საორიენტაციო“ MVNO-ების შემოწმებისას, ჩვენ დავადგინეთ, რომ ისინი არიან:

- TracFone, უმსხვილესი MVNO ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც ფლობდა უმსხვილესი მობილური ქსელის ოპერატორი მექსიკაში და რომელიც შეიძინა Verizon-მა¹⁸ ამერიკის უმსხვილესმა მობილურმა ოპერატორმა, მას შემდეგ რაც მან ბოლო წლებში მილიონი აბონენტი დაკარგა;
- BT, რომელმაც ოპერირება დაიწყო, როგორც MVNO ოპერატორმა კომპანია “EE“ ქსელში, ამჟამად მას ფლობს მობილური ქსელის ოპერატორი, მას შემდეგ, რაც BT-მ შეიძინა კომპანია “EE“ და თითქმის არ არის ნიშური ოპერატორი.
- Boost Mobile იყო Sprint-ის აფილირებული MVNO ამერიკის შეერთებულ შტატებში და იყიდა Dish-მა, კომპანიამ, რომელიც გახდება ახალი მეოთხე მობილური ქსელის ოპერატორი (MNO) შეერთებულ შტატებში, მას შემდეგ რაც T-Mobile-მა შეიძინა Sprint-ი;
- Ono io, "quad play" სერვისის პროვაიდერი (ფიქსირებული და მობილური) ესპანეთში, რომელსაც თავდაპირველად ფლობდა საკაბელო TV ოპერატორი და ამჟამად ფლობს Vodafone, ერთ-ერთი ესპანური მობილური ქსელის ოპერატორი (MNO);
- Lyca mobile, როგორც აღვნიშნეთ ჩვენს ანალიზში, დაკარგა 250,000 აბონენტზე მეტი ტუნისში 2017 - 2019 წლის დასაწყისში და დატოვა ჰონკონგის ბაზარი;
- Telenet, თავდაპირველად MVNO ოპერატორი ბელგიაში (რომელსაც ფლობდა საკაბელო TV ოპერატორი), ამჟამად ბელგიის ერთ-ერთი მობილური ქსელის ოპერატორის Base-ის მფლობელობაში;
- Simple Mobile, როგორც Tracfone (მისი მფლობელი), არ არის დამოუკიდებელი MVNO;
- Free mobile ასევე არ არის დამოუკიდებელი MVNO, არამედ წარმოადგენს საფრანგეთის ერთ-ერთი მობილური ქსელის ოპერატორის (MNO) ნაწილს;
- H2O არის MVNO, რომელსაც თავდაპირველად ფლობდა Japan's KDDI, მობილური ქსელის ოპერატორი (MNO) იაპონიაში, მისი 2019 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული კომპანიისთვის მიყიდვამდე, სადაც h2O ოპერირებს;
- Ay yildiz გერმანიაში უზრუნველყოფს სერვისს, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის თურქ მოსახლეობაზე, რომელსაც ფლობს ერთ-ერთი მობილური ქსელის ოპერატორი, Telefonica; და

¹⁸ "Verizon ყიდულობს Prepaid Carrier Tracfone," PC Magazine, სექტემბერი 14, 2020.

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე, პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

- VERTU, ელიტური ტელეფონის ბრენდი, თავდაპირველად ეკუთვნოდა Nokia-ს, აამოქმედა MVNO გაერთიანებულ სამეფოში და ჰყავდა 350,000-ზე მეტი აბონენტი, შემდეგ გამოცხადდა გაკოტრებულად 2017 წელს.

ჭამში, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების მაგალითების უდიდესი ნაწილი, რომლებიც მითითებულია „პასუხში“, არ არიან ნიშური სერვისების ინოვაციური კომპანიები ან ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებელი MVNO-ები. უმეტესობა ძირითადად უზრუნველყოფენ ხმოვან სერვისებს და თითქმის არ ოპერირებენ განვითარებად ქვეყნებში. უცნაურია ზემოაღნიშნულ მაგალითებზე მითითება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ. ასეთი მაგალითების მოყვანის მიზეზი შეიძლება იყოს კომისიის მოლოდინი, რომ ძირითადად უცხო მობილური ქსელის ოპერატორის აფილირებული საწარმოები დააფუძნებენ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორებს საქართველოში, MVNO სავალდებულო დაშვების რეჟიმის პირობებში.

4. არასწორი დასკვნა ინვესტიციებზე ზემოქმედების კუთხით

„GNCC-ის პასუხი“ მიუთითებს, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების სავალდებულო დაშვების რეგულაცია ხელს შეუწყობს (და არ შეუშლის) ქსელის სამომავლო ინვესტიციას და განვითარებას. მაგალითად, GNCC MVNO-ების შესახებ ანგარიშის დასასრულს ახდენს ციტირებას: „MVNO-ს შემოსვლით, მობილური ქსელის ოპერატორებს საშუალება ეძლევათ რომ ყურადღება საცალო სეგმენტიდან ნაწილობრივ საკუთარი ინფრასტრუქტურით საბითუმო მომსახურების სეგმენტზე გადაიტანონ, სადაც მათ MVNO დაშვების შემთხვევაში, საკმაოდ მაღალი EBITDA მარჟა რჩებათ და შესაბამისად უფრო კარგად მოახერხებენ ფოკუსირებას ქსელის განვითარებაზე“¹⁹. გარდა ამისა, გრძელდება „GNCC-ის პასუხში“: გარდა საბითუმო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისა, მობილური ქსელის ოპერატორები ქსელის გაფართოებაზე ინვესტირებული თანხების კომპენსაციას MVNO-სგან იღებენ.²⁰

დღემდე ბაზრის შესახებ არსებული მტკიცებულებები არ ადასტურებს ზემოაღნიშნულ განცხადებას ინვესტიციის შესახებ. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ მოცემულ მომენტში 5G ქსელის ინვესტირება გლობალური მასშტაბით არის უპირატესი მიმართულება. შენჩუნში, მხოლოდ ჩინეთში, უკვე გააქტიურებულია 50,000 5G ფიჭა და ყველა უნდა დაუკავშირდეს ძირითად ქსელს მაღალი კაპიტალური ხარჯების მქონე ოპტიკურ-ბოჭკოვანი საშუალებებით. დაკავშირებული საინვესტიციო მოთხოვნები საბაზო სადგურებში და სატრანსპორტო ქსელში, ძალიან მაღალია.

კონკრეტული საკვანძო მაგალითები

4.1. იმავდროულად, ევროპის ქვეყნებმა, სადაც ყველაზე მეტად არის წარმოდგენილი MVNO ოპერატორები ფართო რეგიონულ პირობებში, არ გამოუვლენიათ განსაკუთრებული შესაძლებლობა განეხორციელებინათ ინვესტიცია 5G ინფრასტრუქტურაში, მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების არსებობის გამო. არც იმ ქვეყნებში, სადაც MVNO-ების დაშვება სავალდებულოა, არ არიან გამოკვეთილი ლიდერები 5G ქსელების დაწერვის კუთხით, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას.

4.2. ანალოგიურად, სადაც წარმოდგენილია მარეგულირებელი მოდელები, რომელიც

¹⁹<http://www.nereoconsulting.com/pdf/MVNOBusinessEssentials.pdf>
²⁰ GNCC Response, გვ. 22.

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე, პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

ითვალისწინებს საბითუმო და საცალო სეგმენტების გაყოფას, არ არსებობს ასეთი მოდელის ეფექტურობის ფართოდ გავრცელებული მტკიცებულება.

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ საბითუმო 4G ოპერატორების დაშვების მაგალითები კენიაში, მექსიკაში და სამხრეთ აფრიკაში, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ დაადასტურეს მათი ეფექტურობა, იმ მიზეზით, რომ საცალო ოპერატორებმა უარი თქვეს საბითუმო საშუალებების გამოყენებაზე.

მთლიანობაში, აშკარაა MVNO-ების სავალდებულო დაშვების რისკები და გაურკვევლობები 5G-ის შემოსვლის წინ. 5G-ის დანერგვით, საშუალო-სიხშირული ან მილიმეტრული ტალღების სიხშირული დიაპაზონის საფუძველზე, ოპერატორებს მოეთხოვებათ განახორციელონ გაცილებით დიდი ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, ასევე სიხშირულ რესურსშიც. საბაზო სადგურების ქსელი იქნება უფრო მჭიდრო, ვიდრე დაბალ სიხშირულ დიაპაზონზე განხორციელებული ქსელების შემთხვევაში; სატრანსპორტო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი უნდა იყოს გაცილებით რთული და დიდი გამტარუნარიანობით; ხოლო მეტი სადგურების მშენებლობის და მათი უსაფრთხოების პროცესი გაცილებით ძვირი იქნება, ვიდრე ნაკლები რაოდენობის უფრო დიდი ანძების და სადგურების განთავსების შემთხვევაში, რაც საფუძველად უდევს დღევანდელ მობილურ ქსელებს.

5. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ("ITU") პოზიციის არასწორად წარმოჩენა

„GNCC-ის პასუხში“ მითითებულია, რომ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი ("ITU") მხარს უჭერს MVNO-ს სავალდებულო დაშვების რეგულაციას. თუმცა, ის რაც მითითებულია „ITU-ს განმარტებებზე და რეკომენდაციებზე“ არის მხოლოდ 20 წლის წინანდელი დოკუმენტი, რომელიც გამოაქვეყნა მეცნიერმა, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ITU-თან. გარდა ამისა, „GNCC-ის პასუხში“ არასწორად არის წარმოდგენილი დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია.

კონკრეტული საკვანძო მაგალითები

5.1. პოზიციის გასამყარებლად, GNCC უთითებს „ITU (საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი) განმარტებებს და რეკომენდაციებს მარეგულირებელი ორგანოებისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ, რა არსებითი პრინციპებით და რა შემთხვევაში უნდა იქნას მიღებული MVNO სავალდებულო დაშვების რეგულაციები (<https://www.itu.int/itu-news/issue/2001/08/mvno.html>).“ ეს დოკუმენტი გამოაქვეყნა პატრიკ ხავიერმა, მეცნიერმა, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ITU-თან, 2001 წელს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხავიერის დოკუმენტში მითითებულია: „დღემდე, MVNO-ები, რომლებმაც მოიპოვეს დაშვება მთავარ ქსელებზე, ეს განახორციელეს კომერციული მოლაპარაკებების გზით“. ასევე მითითებს, რომ „ზოგი ანალიტიკოსი ამტკიცებს, რომ აღნიშნული რეგულაცია ხელს შეუწყობს MVNO-ების ოპერირებას, რადგან ისინი მომხმარებლებს სთავაზობენ მომსახურებების და აპლიკაციების ფართო არჩევანს დაბალ ფასად და შესაბამისად, განაპირობებს სიხშირული სპექტრის უფრო ეფექტურ გამოყენებას. სხვები ამტკიცებენ, რომ მობილური გარემო საკმარისად კონკურენტულია და რომ 3G ოპერატორების შემოსვლა დამატებით გაზრდის კონკურენციას და აღნიშნული რეგულატორული ჩარევა MVNO-ების მხარდასაჭერად, არ არის საჭირო“.

5.2. გარდა ამისა, ხავერდის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მარეგულირებლების მოსაზრებები MVNO-ებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად იცვლება. მარეგულირებლები ბევრ ქვეყანაში კვლავ განიხილავენ არის თუ არა საჭირო (და თუ საჭიროა, რა მოცულობით) მარეგულირებლის ჩარევა, მათ შორის დაშვების ფასის და პირობების რეგულაცია“.

ის, რაც „GNCC-ის პასუხში“ წარმოდგენილია *ITU რეკომენდაციებზე* ფაქტობრივად არის ტექსტის წინასიტყვაობა, სადაც მითითებულია „ისინი, ვინც ემხრობა რეგულაციას . . .“ *სხვა სიტყვებით, მითითებული საკითხები არის უბრალოდ რეგულაციის პოტენციური არგუმენტების წარმოდგენა*. სტატიაში, ასევე მითითებულია „არგუმენტები მარეგულირებლის ჩარევის საწინააღმდეგოდ“, რომელიც „GNCC-ის პასუხში“ არ არის ნახსენები. შესაბამისად, დოკუმენტის ნაწილი ITU-ს განმარტებებზე და რეკომენდაციებზე არასწორად წარმოაჩენს დოკუმენტის ავტორს და შემდეგ აგრძელებს დოკუმენტის შინაარსის მცდარად წარმოდგენას.

5.3. სხვა დოკუმენტი, რომელიც მითითებულია „პასუხში“, როგორც 2019 წლის ITU-ს ანგარიში, არის მხოლოდ *ITU News* სტატია, სხვადასხვა მონაწილეების მოსაზრებების და მოვლენების შესახებ²¹. ITU-სთან აფილირებული არცერთი პირი ან ITU-ს ანგარიში, რომელიც მითითებულია აღნიშნულ მუხლში (ან აღნიშნულ საკითხზე სხვა დოკუმენტები, რომლებიც მითითებულია „პასუხში“) არ აკეთებს განცხადებას უნდა დარეგულირდეს თუ არა MVNO-ს დაშვება.

6. ისრაელის და კანადის არასწორი დახასიათება

„GNCC-ის პასუხში“ შეუსაბამოდ არის დახასიათებული ორი ქვეყანა, რომელიც მოყვანილია MVNO-ების, როგორც დადებითი ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ქვეყნების მაგალითებად, კერძოდ ისრაელი და კანადა. ორივე შემთხვევაში მითითება აღნიშნულ ქვეყნებზე ზუსტად არ ასახავს საბაზრო სიტუაციებს ან MVNO პერსპექტივებს.

კონკრეტული საკვანძო მაგალითები

6.1. კომენტარის გაკეთებისას MVNO-ების ისრაელში (ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც შეტანილია ჩვენი დოკუმენტის ფარგლებში წარმოდგენილ ანალიზში) განვითარებასთან დაკავშირებით, „პასუხში“ მითითებულია OECD ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ „MVNO-ების შესვლამ [ისრაელში] მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დარგის განვითარებას და ბაზრის ლიბერალიზაციას“, და მიუთითებს შემდეგს: „ისრაელში ასევე ახალი MNO-ები გაჩნდნენ (2012 წლიდან 2 ახალი ქსელური ოპერატორი Golan Telecom და HOT Mobile)“²².

გარდა ამისა, „პასუხში“ ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ Golan Telecom-მა 5G სიხშირესა და ლიცენზიაში 34 მილიონი დოლარი გადაიხადა, „მიუთითებს იმ დადებით ტენდენციებზე, რაც ისრაელის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე MVNO-ს დაშვებამ და სატელეკომუნიკაციო სექტორის ლიბერალიზაციამ გამოიწვია“.²³

ფაქტობრივად, MVNO-ების აღწერისას, OECD ანგარიში არ გულისხმობს იმ ცვლილებებს,

²¹<https://news.itu.int/mvnos-telecom-world-value/>

²²https://read.oecd-ilibrary.org/science-and-technology/wireless-market-structures-and-network-sharing_5jxt46dzl9r2-en#page1

²³ GNCC პასუხი, გვ. 28.

რომელიც გავლენას ახდენს მობილურ ბაზარზე ისრაელში.

6.2. გარდა ამისა, „პასუხში“ შექმნილი ასოციაცია Golan's-ის სიხშირის მაღალ ფასსა და MVNO-ების დაშვებას შორის, დამატებულად არ მიგვაჩნია.

პირველ რიგში, მითითებული სიხშირული სპექტრის „ფასი“ იყო Cellcom-ის (ისრაელის პირველი კონკურენტი თავდაპირველი MNO-თვის, Pelephone), Golan და Marathon Telecom ერთობლივი ფასი.²⁴ მეორე, მითითებული ფასი არის ხელოვნური ფასი, რომლითაც მთავრობამ შესთავაზა ოპერატორებს 141 მილიონი აშშ დოლარი წამახალისებელი გრანტი 5G საბაზო სადგურების დანერგვისთვის.²⁵ აღნიშნული განხორციელდა დარგის ცუდი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. მესამე, სიხშირული სპექტრის (სულ 130 MHz სამ ზოლში) ოდენობა მნიშვნელოვანია. მეოთხე, მთავრობამ გადაავადა სიხშირესთან დაკავშირებული ყველა გადასახადი 2022 წლამდე. და ბოლოს, სიხშირული აუქციონის თითქმის პარალელურად, რომელიც ჩატარდა ამ წლის აგვისტოში, მთავრობამ გასცა Golan Telecom-ის Cellcom-ის მიერ შეძენის ნებართვა, რაც დარგის ფინანსური მდგომარეობის კიდევ ერთი მანიშნებელია.

ჭამში, მნიშვნელოვანია აღნიშნული 34 მილიონი აშშ დოლარის ფასის მიღმა არსებული დეტალები. გარდა ამისა, სიხშირულ აუქციონში მონაწილე ოპერატორების ოდენობაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორებმა, მათ შორის ტევადობის მოთხოვნები, ქსელის შემქმნელების ხარჯები დამატებითი სპექტრის გარეშე, და ფინანსური ციკლი და სხვა ფაქტორები. ამავდროულად, ჩვენთვის არ არის ცნობილი საერთო ანალიზი, სადაც ასახულია ურთიერთკავშირი აუქციონში სიხშირული სპექტრის წინადადებებსა და MVNO-ების შესვლას შორის. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ისრაელის ინდუსტრია დგას მზარდი და არა მცირე გამოწვევების წინაშე, MVNO-ების შესვლის მიუხედავად; ეს აისახება ნაწილობრივ 5G-ს შედარებით დაგვიანებული მიღებით, არამხოლოდ მსოფლიო ლიდერებთან (სამხრეთ კორეა, ჩინეთი, აშშ), არამედ ასევე სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთთან შედარებით.

6.3. და ბოლოს, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „GNCC-ის პასუხში“ მითითებულია კანადის მობილური ბაზარი და აღნიშნულ ბაზარზე MVNO-ების შემოღების ინიციატივა. გარდა ამისა, პარალელები კეთდება საქართველოს ბაზრებსა და კანადის ბაზრებს შორის, და რომ კანადის მიღწევები ამყარებს GNCC-ის მიერ MVNO-ს სავალდებულო დაშვების ინიციატივას. ამ პროცესში, „პასუხში“ არ არის აღიარებული (ან მინიმუმ აღქმული) მნიშვნელოვანი განსხვავება საქართველოს და კანადის მობილურ ბაზრებს შორის, მათ შორის, კანადის უზარმაზარი ტერიტორია და ამასთან დაკავშირებული მობილური დაფარვის გამოწვევები, მისი განვითარებული ეკონომიკა და გაცილებით მაღალი ARPU-ს (ერთი აბონენტისგან მიღებული შემოსავალი) დონე და კანადის ძალისხმევები 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მობილური ქსელის ოპერატორების კონკურენციის წახალისების კუთხით, რომ არაფერი ითქვას მის მარეგულირებელ სტრუქტურაზე (სიხშირის აუქციონის სამინისტრო და კონკურენციის ორგანო, ასევე სექტორის მარეგულირებელი).

კანადის კონკურენციის გაფართოება დაიწყო ორი PCS მობილური ოპერატორის ლიცენზირებით 1990-იან წლებში. თუმცა აღნიშნულმა ოპერატორებმა ვერ მიაღწიეს წარმატებას და ისინი შეისყიდა სამი მთავარი ოპერატორიდან ორმა. რამდენიმე წლის წინ მთავრობამ წახალისა ახალი შემომსვლელი დარეგულირებული სიხშირული სპექტრის აუქციონებზე გამოტანით, რაც განკუთვნილი იყო მხოლოდ ახალი შემომსვლელისათვის რის შედეგად აღნიშნული სიხშირისთვის გადახდილი იქნა დაბალი ფასი. და კვლავ ახალმა

²⁴ "ისრაელი ატარებს 5G სპექტრის აუქციონს; MoC ამტკიცებს Cellcom-ის მიერ Golan Telecom, შესყიდვას" TeleGeographyGlobalComms მონაცემთა ბაზა, აგვ. 14, 2020.

²⁵ Steven Scheer, "ისრაელი ატარებს 5G მობილური ქსელის ტენდერს, 2020 გამოშვებით," Media and Telecoms, ივლისი 16, 2019.

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე, პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

შემოსულებმა ზოგადად ვერ შეძლეს დამოუკიდებლად არსებობა კაპიტალ-ინტენსიურ მობილურ ბაზარზე, სადაც ქსელის გამოყენება მოითხოვს მსხვილ კაპიტალდაბანდებს და მათი გამოსყიდვა მოხდა არსებული მობილური ქსელის ოპერატორების მიერ.

შედეგად, ბაზარზე ახალი შემომსვლელების მეორე რაუნდი დაიწყო, სამი მათგანი აფილირებული იყო არსებულ საკაბელო TV ოპერატორებთან და ერთი - ტრადიციულ რეგიონულ ფიქსირებულ ოპერატორთან. აღნიშნულმა ოპერატორებმა დაიწყეს ტრადიციულ მობილური ქსელის ოპერატორებთან კონკურენცია, ფართო მასშტაბით რეგიონულ დონეზე და არა ქვეყნის დონეზე. მომსახურების ფასები კონკრეტულ მონაცემთა პაკეტებზე შემცირდა, ზოგადად სადაც ახალ მონაწილეებს ჰქონდათ დიდი ოდენობით ჭარბი მოცულობა. თუმცა, ამ პროცესში მოქმედმა მობილური ქსელის ოპერატორებმა დაამატეს შიდა ახალი ბრენდები ამ ახალმა ბრენდებმა მთლიანობაში მნიშვნელოვნად მეტი მომხმარებელი მოიზიდა, ვიდრე ყველა ჯამში აღებულმა სხვა ბაზარზე ახალმა შემომსვლელებმა. ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორ მიაღწევს წარმატებას MVNO-ს სავალდებულო დაშვება ამ კონტექსტში, და საკითხავია გამოიწვევს თუ არა ახალი მობილური ქსელის ოპერატორის აბონენტთა წილის ზრდას თუ შემცირებას.

7. MVNO-ების უსაფრთხოების რისკების არასათანადო აღიარება

ბოლო და არანაკლებ მნიშვნელოვანი, „GNCC-ის პასუხში“ უარყოფილია პრობლემები MVNO-ების უსაფრთხოების პოტენციური რისკების შესახებ.

კონკრეტული საკვანძო მაგალითი

GNCC გარკვევით მიუთითებს, რომ მისი გადაწყვეტილება MVNO-ების სავალდებულო დაშვების შესახებ არ იწვევს მნიშვნელოვან პრობლემებს უსაფრთხოების კუთხით. ITU დოკუმენტი პირდაპირ ეწინააღმდეგება „GNCC პასუხში“ პოზიციის გასამყარებლად მითითებულ ITU სტანდარტს “ITU-T X.805 (მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების უსაფრთხოების სახელმძღვანელო პრინციპების დამატება.)”²⁶ აღნიშნული დოკუმენტი მიუთითებს: „უდავოა, რომ MVNO-ები დგანან სერიოზული რისკების წინაშე უსაფრთხოების თვალსაზრისით, უსაფრთხოების არასათანადო ზომების და მოთხოვნების გამო, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული ქსელის ოპერატორების უსაფრთხოების მოთხოვნებისგან. MVNO-ები ხდებიან მთავარი სამიზნეები უსაფრთხოების კუთხით.

²⁶https://www.itu.int/rec/dologin_pub.asp?lang=e&id=T-REC-X.Sup30-201709-!!!PDF-E&type=items.

შეზღუდვები

წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებით, საერთო შემზღუდველი პირობები შეჭამებულია ქვემოთ:

- პასუხში წარმოდგენილ ინფორმაციას გამოიყენებს კომპანია მმართველობითი მიზნებისთვის და შეიძლება მისი გასაჯაროება.
- პასუხი ეფუძნება 2020 წლის 4 ნოემბერს ჩვენი სამუშაოს დასრულებისთვის ჩვენთვის ხელმისაწვდომ უახლეს ინფორმაციას და არ ვიღებთ პასუხისმგებლობას განვაახლოთ იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც დადგება მისი გაცემის თარიღის შემდეგ.
- დოკუმენტი ეფუძნება მონაცემებს, შეფასებებს და პროგნოზებს, რომლებიც სარწმუნოდ ითვლება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დოკუმენტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც ეფუძნება ჩვენი ანალიზი და დასკვნები, არის ნამდვილი და ზუსტი. ჩვენთვის წარმოდგენილი და წინამდებარე დოკუმენტში შეტანილი ან დასკვნების გასაკეთებლად გამოყენებული ინფორმაცია, შეფასებები და დასკვნები მოპოვებულია წყაროებიდან, რომლებიც ითვლება სარწმუნო და ნამდვილ და ზუსტ წყაროებად.
- პასუხი შეიძლება გამოყენებული იქნას ანგარიშთან ერთად, რომელიც გაცემულია შპს ბიდიო-სა და Kalba International Inc.-ის მიერ 2020 წლის 28 მაისს, ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმდა შპს ბიდიო-ს და შპს მაგთიკომს შორის 2020 წლის 1 მაისს, რადგან მოიცავს წინა ანგარიშში წარმოდგენილი საკითხების გაფართოებას. არ შეიძლება პასუხის გავრცელება (მთლიანად ან ნაწილობრივ) და დოკუმენტში მოცემული მონაცემების გამოყენება მესამე მხარის მიერ რაიმე მიზნით, შპს ბიდიო-ს პირდაპირი წერილობითი თანხმობის გარეშე. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე პუნქტის შეცვლა დაუშვებელია შპს ბიდიო-ს გარდა სხვა პირის მიერ და ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას უნებართვო ცვლილებებზე.
- შპს ბიდიო და Kalba International, Inc. აცხადებენ, რომ არიან დამოუკიდებელნი და არ გააჩნიათ არანაირი ინტერესი ამ კვლევასთან დაკავშირებით. ჩვენი მომსახურების საფასური განსაზღვრულია წინასწარ და არ არის დამოკიდებული პროექტის შედეგებზე.

დანართი #1: ფაქტების შემოწმება GNCC-ის „საუკეთესო პრაქტიკის“ მითითებებზე*

GNCC აცხადებს	ფაქტობრივად
<p>GNCC-ის მიზანია MVNO-ების სავალდებულო დაშვება წარმოადგინოს როგორც ევროპის „საუკეთესო პრაქტიკა“</p> <p>(GNCC-ის გადაწყვეტილება MVNO-ების სავალდებულო დაშვების შესახებ საქართველოში, ტელეკომუნიკაციების კანონით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად - SMP-ტიპის რეგულაცია</p>	<p>GNCC -ს მიერ გამოყენებულ ანალიზში მითითებული 31 ქვეყნიდან მხოლოდ ორმა ქვეყანამ განახორციელა მსგავსი რეგულაცია, რომელთაგან არცერთი მათგანი არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა.</p>
<p>MVNO დარეგულირებული ფორმით - „საუკეთესო პრაქტიკა“</p>	<p>იმ შემთხვევაშიც კი, თუ MVNO -სთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ფართო ქრილში განვიხილავთ, GNCC -ს მიერ მითითებულ Cullen International-ის ანგარიშში განხილული 31 ქვეყნიდან 20 ქვეყანას არ აქვს მსგავსი ვალდებულება, მინიმუმ 24 ქვეყანა არ აწესებს ფასის რეგულაციას ხოლო 31 აღნიშნული ქვეყნიდან 26 ქვეყანა არ ადგენს სტანდარტულ შეთავაზების (ოფერტის) გამოქვეყნების ვალდებულებას.</p> <p>ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა არის ის, რომ MVNO-ები ოპერირებენ მობილური ქსელის ოპერატორებთან გაფორმებული არარეგულირებული კომერციული ხელშეკრულებების საფუძველზე.</p>
<p>მობილური ბაზარი ექვემდებარება რეგულაციას ევროკავშირის მარეგულირებელი რეჟიმის შესაბამისად ევროპული ქვეყნების მიერ გამოყენებული „სამი კრიტერიუმის“ საფუძველზე.</p>	<p>2003 წელს ევროკომისიამ საბითუმო მობილური დაშვებისა და ზარის წამოწყების ბაზარი შეიტანა იმ ბაზრების ჩამონათვალთა სიაში, რომლებიც რეგულირების მიზნებისთვის უნდა შეფასებულიყო „სამი კრიტერიუმის“ ტესტის თანახმად. თუმცა, აღნიშნული ბაზრების პირველივე განხილვის შემდეგ, ზემოთხსენებული ბაზარი ამოღებულ იქნა ამ სიიდან.</p> <p>სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მარეგულირებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება პრაქტიკულად უარი ეთქვათ ამ ბაზრის დარეგულირებაზე.</p>
<p>ფასები საქართველოში მაღალია და ეს ასაბუთებს MVNO-ების სავალდებულო დაშვების შემოღებას.</p>	<p>GNCC-ის და მისი კონსულტანტების (Strategy Analytics and Teligen) მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია მობილური მომსახურების ფასების შედარებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად (3.8 ჯერ) ზრდის მობილური მომსახურების ფასებს საქართველოში ბენჩმარკინგში განხილულ სხვა ქვეყნებთან შედარებით.</p>
<p>მობილური კომუნიკაციების ბაზარი საქართველოში კონცენტრირებულია,</p>	<p>ფინეთის მარეგულირებლის მიერ საბითუმო მობილური დაშვების და ზარის წამოწყების ბაზრის რეგულირების მცდელობა დაიბლოკა ევროკომისიის მიერ, იმის მიუხედავად, რომ ბაზრის</p>

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

<p><i>შესაბამისად საჭიროა მისი რეგულირება</i></p>	<p>წამყვან მობილურ ოპერატორს ჰქონდა 60 პროცენტზე მეტი საბაზრო წილი - რომელიც გაცილებით მაღალის ვიდრე წამყვანი ოპერატორის საბაზრო წილი საქართველოში.</p>
<p><i>საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი ("ITU") რეკომენდაციები და ანგარიშები ამყარებს GNCC-ის პოზიციას</i></p>	<p>GNCC-ის პასუხში წარმოდგენილი „ITU-ს განმარტებები და რეკომენდაციები“ ფაქტობრივად არის მხოლოდ 20 წლის წინანდელი დოკუმენტი, რომელიც გამოაქვეყნა პირმა, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ITU-სთან და ასევე, GNCC-ს კონტრ-არგუმენტში აღნიშნული დოკუმენტი არ არის სათანადოდ შეფასებული. GNCC-ის ციტირებულ დოკუმენტში აღნიშნული ITU-აფილირებული პირი ან ITU ანგარიში არ ითვალისწინებს რაიმე სახის ვარაუდებს დარეგულირდეს თუ არა MVNO-ები.</p>
<p><i>MVNO სავალდებულო დაშვება დამატებით რისკებს არ უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.</i></p>	<p>სწორედ GNCC-ის მიერ მითითებული ITU დოკუმენტი მიუთითებს, რომ MVNO-ები სერიოზულ პრობლემებს შექმნის უსაფრთხოების კუთხით.</p>

კომენტარი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხზე პოლიტიკის ანგარიშის და ექსპერტის დასკვნის შესახებ

დანართი #2: ევროკავშირში ბაზრების რეგულაციის სტატუსი – იხილეთ EX-MARKET 15 *

Article 7 cases as at 19/05/2020

Effective competition - no ex ante regulation
 No effective competition - ex ante regulation
 Partial competition - partial ex ante regulation

n number of rounds of market analysis

	2014 RECOMMENDATION					2007 REC.		2003 RECOMMENDATION									
	Call term. on fixed network	Voice call term. on mobile networks	Wholesale local access	Wholesale central access	Wholesale high-quality access	Access to PSTN for res & non-res.	Call orig. on fixed network	Localnat. Call for res.	Internat. call for res.	Localnat. call for non-res.	Internat. call for non-res.	Retail LL	Transit on fixed network	Transit on mobile networks	Access & call orig. on mobile network	Broadcast Transmis.	
	Market 1	Market 2	Market 3a	Market 3b	Market 4	ex-Mkt 1	ex-Mkt 2	ex-Mkt 3	ex-Mkt 4	ex-Mkt 5	ex-Mkt 6	ex-Mkt 7	ex-Mkt 10	ex-Mkt 14	ex-Mkt 15	ex-Mkt 18	
Austria	3	4	5	5	5	4	4	3	2	4	3	4	1	2	1	4	
Belgium	3	3	3	3	3	3	2	3	1	3	1	1	2	1	1	1	
Bulgaria	3	3	3	2	2	3	3	2	2	2	2	1	1	1			
Croatia	2	2	2	2	1	2	2	1		1		1		1			
Cyprus	3	4	4	4	3	3	3	3	2	3	2	2	3	3	4	4	
Czech Republic	4	4	4	4	3	4	4	2	2	2	1	2	1	1	2	2	
Denmark	4	4	4	4	4	4	4	2	2	1	1	2	1	1	1	1	
Estonia	4	5	4	4	3	3	3	1	1	1	1	1	1	2	1	3	
Finland	2	1	4	4	1	2	3	2	1	2	1	2	3	1	1	3	
France	5	5	5	5	3	5	5	1	1	1	1	2		2	1	4	
Germany	5	5	4	3	2	4	3	2	1	2	1	2		1		5	
Greece	3	4	4	4	3	3	2	3	1	3	1	3		3		1	
Hungary	4	5	4	4	4	6	4	3	3	3	3	3		2		2	
Ireland	4	3	3	3	3	3	3	2	2	2	2	2		2		2	
Italy	3	5	4	4	2	3	2	2	2	2	2	2		2		2	
Latvia	5	5	4	4	4	2	3	4	3	4	3	3		1		1	
Lithuania	5	3	4	4	2	1	3	3	2	3	2	1		2		6	
Luxemburg	3	4	3	3	3	3	3	2	2	2	2	2		1			
Malta	4	4	2	2	3	3	3	2	2	2	2	3		2		1	
Netherlands	5	5	5	4	3	4	3	2	2	2	2	2		2		2	
Poland	3	3	3	4	1	3	4	2	2	2	2	2		1		3	
Portugal	3	3	3	3	3	2	2	2	2	2	2	1		3		2	
Romania	3	3	2	1	2	2	2	1	1	1	1		3			2	
Slovakia	4	5	3	3	4	4	4	2	2	2	2	2		1	1	2	
Slovenia	2	5	4	4	2	3	3	2	1	1	1	2	3	1	3	3	
Spain	4	4	3	3	3	4	3	2	2	2	2	2		4	2	4	
Sweden	5	5	3	4	3	3	3	1	1	1	1	2	2	1	1	5	
United Kingdom	3	5	3	5	5	5	4	2	2	2	2	4	2	4	1	2	

დანართი #3: შესადარებელი მსყიდველობითი უნარი (1/PPP)*

ქვეყანა	შეერთებულ შტატებთან შედარებით	საქართველოსთან შედარებით
ავსტრალია	0.97109968	0.296188
ავსტრია	1.17569145	0.358589
ბელგია	1.18276355	0.360746
კანადა	1.11141921	0.338986
ჩილე	1.68865644	0.515044
კოლუმბია	2.43202563	0.741774
ჩეხეთის რესპუბლიკა	1.84295824	0.562107
დანიის	1.00013475	0.305044
ესტონეთი	1.6403784	0.500319
ფინეთი	1.05418369	0.321529
საფრანგეთი	1.22080474	0.372348
საქართველო	3.27866264	1
გერმანია	1.21171166	0.369575
საბერძნეთი	1.6034397	0.489053
უნგრეთი	2.06236268	0.629026
ისლანდია	0.89717719	0.273641
ირლანდია	1.1217878	0.342148
ისრაელი	0.9668303	0.294886
იტალია	1.33164421	0.406155
იაპონია	1.07426259	0.327653
კორეა, რეს.	1.35472976	0.413196
ლატვია	1.80555052	0.550697
ლიტვა	1.96418992	0.599083
მექსიკა	2.06940648	0.631174
ნიდერლანდები	1.13802287	0.3471
ახალი ზელანდია	1.04439168	0.318542
ნორვეგია	0.88613355	0.270273
პოლონეთი	2.19411462	0.66921
პორტუგალია	1.57574606	0.480606
სლოვაკეთის რესპუბლიკა	1.76821261	0.539309
სლოვენია	1.57955499	0.481768
ესპანეთი	1.42549467	0.434779
შვედეთი	1.08146563	0.32985
შვეიცარია	0.86578889	0.264068
თურქეთი	3.08268896	0.940228
გაერთიანებული სამეფო	1.15152231	0.351217
შეერთებული შტატები	1	0.305002

*'რამდენის ყიდვა შეუძლია 1 აშშ დოლარს?'- გაანგარიშება მსოფლიო ბანკის ინფორმაციაზე დაყრდნობით



Kalba International, Inc.
Digital Connectivity Advisors



ბიდიო არის ბიდიოს ქსელის და ბიდიოს ყოველი წევრი ფირმის საფირმო სახელი.

©2020 შპს ბიდიო. ყველა უფლება დაცულია.
www.bdo.ge